მენარინის მესამე მხარეთა ქცევის გლობალური კოდექსი

Ethical vision, Integrity in action

MENARINI group

შესავალი

მენარინს ნაკისრი აქვს მტკიცე ვალდებულება, რომ საკუთარი საქმიანობა განახორციელოს კეთილსინდისიერად და დაიცვას ყველა მოქმედი კანონი და რეგულაცია.
ჩვენ მხარს ვუჭერთ ეთიკურ ქცევას და საქმიანობისას ვითვალისწინებთ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვითი მდგრადობას.
ჩვენი ***მესამე მხარეებისაგან*** მოველით იმ პრინციპების გაზიარებას, რომლებიც განსაზღვრულია „მესამე მხარეთა ქცევის გლობალურ კოდექსში“ (შემდგომში, “GMT კოდექსი”). მენარინი ასევე მოელის მესამე მხარეებისაგან, რომ ისინი მოითხოვენ იგივე დონის ინტეგრირებასა და საქმიან ქცევას საკუთარი პერსონალისგან და მათი ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ მომუშავე ნებისმიერი პირისგან, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მენრინისთვის ან მასთან ერთად.
ნებისმიერი მესამე მხარე უზრუნველყოფს, ხელშეკრულებით და ფაქტობრივად, რომ მათ ქვემომწოდებლებმა და ქვეკონტრაქტორებმა დაიცვან GTP კოდექსს.

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის დასაქმებული მენარინის მიერ და რომელსაც კომპანია ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობს საქმიანობის პროცესში, როგორებიცაა, მომმარაგებლები, დისტრიბუტორები, კონსულტანტები და სხვა ბიზნეს პარტნიორები.

მესამე მხარეებმა უნდა დაიცვან ყველა მოქმედი კანონი და მარეგულირებელი ჩარჩო და ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოიპოვონ და შეინახონ საჭირო დოკუმენტაცია, როგორიცაა ნებართვები, სერტიფიკატები და თანხმობები.
წინამდებარე GTP კოდექსი არ შეიცავს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა დაცვაც მოეთხოვება მესამე მხარეს, თუმცა იგი უზრუნველყოფს „მენარინის ჯგუფისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე ფოკუსირებას.

ბიზნეს ეთიკა 4

მექრთამეობის უარყოფა

ურთიერთობა ჯანდაცვის სპეციალისტებთან ან პაციენტთა

უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან

სარეკლამო აქტივობები და სამეცნიერო

გაცვლითი პროგრამები

საჩუქრები და გამასპინძლება

ინტერესთა კონფლიქტი

კონკურენცია და სამართლიანი

გარიგებები

საერთაშორისო სავაჭრო ღონისძიებები

წიგნები და ჩანაწერები

კონფიდენციალური ინფორმაცია

მონაცემთა დაცვა

ინტელექტუალური საკუთრება

კონფლიქტური მინერალები

შრომითი ურთიერთობები 7

ადამიანის უფლებების დაცვა

შრომითი უფლებები / ნულოვანი

ტოლერანტობა შევიწროებისა და

დისკრიმინაციისადმი

ბავშვთა შრომა, იძულებითი შრომა და

ადამიანთა ტრეფიკინგი

სამუშაო დრო, ხელფასი და სარგებელი

გაწევრიანების თავისუფლება

ხარისხი 8

კონტროლის შეცვლა

ხარისხი / მიწოდება

ხარისხის სისტემა / ხარისხის მოთხოვნები

შეფუთვა / მარკირება

ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა 9

მუშაკების დაცვა

პროცესის უსაფრთხოება

გარემოს და ცვა და ნებართვები

ქიმიური ნივთიერებები, ნარჩენები და

ემისიები

კოდექსის დარღვევის შესახებ ანგარიშგება (არამართლზომიერი ქმედების მხილება) 10

ანგარიშგება

დისციპლინარული სანქციები

ბიზნეს ეთიკა

მექრთამეობის უარყოფა

„მენარინი“ კრძალავს ნებისმიერი ფორმის მექრთამეობას (იქნება ეს საჯარო, კერძო, აქტიური თუ პასიური), გაფლანგვას, თაღლითობას, ქურდობას და/ან არასათანადო უპირატესობებზე შეთანხმებას.

ჩვენი მესამე მხარეებისაგან მოველით, რომ ისინი არ ჩაერთვებიან რაიმე ისეთ საქმიანობაში (მათ შორის არასათანადო გადახდებში), რომელიც შეიძლება მოიცავდეს მონაწილეობას კორუფციაში ან მექრთამეობაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მუშაობენ მენარინის ფარგლებში ან მასთან ერთად.

გარდა ამისა, მესამე მხარეებს ეკრძალებათ ფულის ან რაიმე ღირებუების მქონე ნივთის შეთავაზება, დაპირება ან მიღება კერძო კომერციული სუბიექტის ნებისმიერი წარმომადგენელისაგან ან თანამშრომლისაგან, თუ ამგვარი შეთავაზება მიზნად ისახავს მის ცდუნებას, რომ ეს სუბიექტი მენარინს დაეხმაროს ბიზნესის არასწორად მოპოვებასა თუ შენარჩუნებაში, ან რაიმე არასათანადო უპირატესობის უზრუნველყოფაში.

ჩვენ სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვით ვახდენთ მესამე მხარეების შერჩევას, რათა ურთიერთობა გვქონდეს მხოლოდ მათთან, ვინც ჩვენი ეთიკური სტანდარტების ერთგულია.

ურთიერთობა ჯანდაცვის სპეციალისტებთან ან პაციენტთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები ჯანდაცვის სპეციალისტებთან, ჯანდაცვის ორგანოებსა ან პაციენტთა დაცვის ორგანიზაციებთან ჩვენი სახელით ურთიერთობისას მოიქცევიან ინტეგრირებულად და მოქმედი კანონის, რეგულაციების, გაიდლაინების და აღნიშნულ სფეროში მოქმედი კოდექსების სრული დაცვით.

სარეკლამო აქტივობები და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამები

მესამე მხარეებს მოეთხოვებათ, რომ ნებისმიერი მარკეტინგული თუ სარეკლამო მასალების და აქტივობების განხორციელებისას იმოქმედონ მაღალი ეთიკური, სამედიცინო და სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად, დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა, რეგულაციები, გაიდლაინები და აღნიშნულ სფეროში მოქმედი კოდექსები.

საჩუქრები და გამასპინძლება

მესამე მხარეები არ მიიღებენ ან უზრუნველყოფენ საჩუქრებს, გამასპინძლებას ან სხვა სახის პირად სარგებელს ჩვენი კომპანიისთვის ან ჩვენი სახელით, მენარინისგან წინასწარი თანხმობის გარეშე.

მომხმარებლისაგან საჩუქრების მიღება შესაძლებელია შემოიფარგლოს იმ შემთხვევებით, როდესაც ამგვარი თავაზიანობა არ შეიძლება იქნას აღქმული, როგორც მიმღების მოსყიდვა. გარდა ამისა, ამგვარი საქციელი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ რეგულაციებს და ბიზნეს თავაზიანობის სტანდარტებს, რომლებიც დაშვებულია ადგილობრივი პრაქტიკით,კანონებითა და რეგულაციებით.

ინტერესთა კონფლიქტი

მენარინი სრულ ვალდებულებას იღებს, რომ გამოავლინოს ნებისმიერი სიტუაცია, სადაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტის რისკი, იქნება ეს ფაქტობრივი თუ პოტენციური, და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად ან შესარბილებლად.

მენარინი ინტერესთა კონფლიქტს განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ სიტუაციას, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე მხარის ინტერესები კონფლიქტში მოდის ან ტოვებს შთაბეჭდილებას რომ კონფლიქტშია, თუნდაც პოტენციურად, მენარინის ინტერესებთან.

თუ მესამე მხარესთვის ცნობილი გახდება ინტერესთა კონფლიქტის (თუნდაც პოტენციური) ან სენსიტიური სიტუაციის შესახებ, რომელმაც შეიძლება სერიოზული მენარინს, იგი ვალდებულია დროულად აცნობოს კომპანიას.

კონკურენცია და სამართლიანი გარიგებები

მენარინი მხარს უჭერს თავისუფალ და სამართლიან საბაზრო კონკურენციას, როგორც მისი „კორპორატიული ღირებულებების“ ნაწილს. აქედან გამომდინარე, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, იგი იღებს ვალდებულებას, კონკურენცია გასწიოს დამსახურების მიხედვით და ასევე, უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენცია და სამართლიანი გარიგებები.

Mმენარინისს კორპორატიული ღირებულებების შესაბამისად, მესამე მხარეები, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებენ, რომ ჩაერთონ სამართლიან კონკურენციაში და თავი შეიკავონ ნებისმიერი ანტიკონკურენტული პრაქტიკის განხორციელებისაგან მოქმედი კონკურენციის და ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობის შესაბამისად, იქნება ეს ერთპიროვნულად თუ სხვა პირებთან ერთად ქმედებისას.

საერთაშორისო სავაჭრო ღონისძიებები

მესამე მხარეებმა უნდა დაიცვან ყველა საერთაშორისო სავაჭრო კანონი თუ რეგულაცია, მათ შორის, ის რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს იმპორტსა და ექსპორტს ან დაკავშირებულია ვაჭრობის სანქციებთან და ემბარგოსთან.

წიგნები და ჩანაწერები

საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების თანახმად, მესამე მხარეებს მოეთხოვებათ საბუღალტრო ჩანაწერებისა და წიგნების სათანადო სიზუსტით წარმოება, საგადასახადო საკითხების მოგვარება და კეთილსინდისიერი დეკლარირება.

მენარინი მესამე მხარეებისაგან მოელის, რომ ისინი იქნებიან სანდო მოთამაშეები ბაზარზე და იმოქმედებენ დიდი სიფრთხილით ამ თვალსაზრისით.

კონფიდენციალური ინფორმაცია

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები დაიცავენ კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას და მას მხოლოდ სათანადო მიზნებისათვის გამოიყენებენ, კონფიდენციალობის დაცვის შესახებ შეთანხმებებისა და მოქმედი კანონმდებლობისა თუ რეგულაციების შესაბამისად.

მონაცემთა დაცვა

მესამე მხარეებიმა უნდა იკისრონ ვალდებულება, დაიცვან პერსონალური მენარინისთან ურთიერთობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებით. კერძოდ, მესამე მხარეები უზრუნველყოფენ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას ნებისმიერ დროს; ისინი ახორციელებენ სათანადო დაცვის მექანიზმებს და მონაცემთა დაცვის მაღალი დონის სტანდარტებს; პირად ინფორმაციას იცავენ ბოროტად გამოყენებისა და არაავტორიზებული წვდომისგან მონაცემთა დამუშავების ციკლის ყველა ეტაპზე - შეგროვებიდან მონაცემთა განადგურებამდე; დროულად აგზავნიან შეტყობინებას მონაცემთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ. მესამე მხარეების თანამშრომლობა მენარინისთან უნდა იყოს გამჭვირვალე და ლოიალური და სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მონაცემთა დაცვის კანონებთან შესაბამისობა.

ინტელექტუალური საკუთრება

მენარინი პატივს სცემს მესამე მხარეთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები პატივს სცემენ მენარინის ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ უფლებებს და სხვა უფლებებს, ასევე შესაბამისად მოქმედ კანონმდებლობას და რეგულაციებს.

კონფლიქტური მინერალები

ჩვენ მესამე მხარეებისაგან მოველით, რომ ისინი მიმართავენ სათანადო ზომებს და გამოიჩენე სათანადო სიფრთხილეს ნ, რათა მენარინისთვის მიწოდებული პროდუქტები არ შეიცავდეს მინერალებს ან მათგან მიღებულ ლითონებს, თუ ეს მინერალები წარმოშობილია კონფლიქტის რეგიონებიდან, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აფინანსებენ ან სარგებელს იღებენ შეიარაღებული დაჯგუფებებისაგან.

შრომითი ურთიერთობები

ადამიანის უფლებების დაცვა

მენარინი განუხრელად ერთულად იცავს გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პრინციპებს და პატივს სცემს მათ, ემიჯნება ნებისმიერი ფორმის ძალადობას.

მესამე მხარეებისაგან მოვითხოვთ იგივე დამოკიდებულებას ადამიანის უფლებებისადმი.

შრომითი უფლებები / ნულოვანი ტოლერანტობა შევიწროებისა და დისკრიმინაციისადმი

ჩვენ მოველით, რომ ჩვენი მესამე მხარეები უზრუნველყოფენ საკუთარი თანამშრომლების ღირსების, ჯანმრთელობის, თავისუფლების და თანასწორობის დაცვას, ყველა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ჩვენთვის მიუღებელია შევიწროება, დაშინება, იძულება ან ცრურწმენა, შემდეგი პრიოვნული ნიშნების მიხედვით: რასა, ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, სექსუალური პრეფერენციები, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ორსულობა, ოჯახური ან ვეტერანის სტატუსი ან სხვა ასპექტები, რომლებსაც არეგულირებს მოქმედი კანონები და რეგულაციები.

ბავშვთა შრომა, იძულებითი შრომა და ადამიანთა ტრეფიკინგი

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები არ ჩაერთვებიან ან მხარს არ დაუჭერენ ადამიანებით ვაჭრობას ან თანამედროვე მონობას, მათ შორის ძალდატანებით, იძულებით შრომას ან ბავშვთა შრომას.

მესამე მხარეებმა არ უნდა გამოიყენონ ბავშვთა შრომა და სამსახურში უნდა აიყვანონ მხოლოდ ის ადამიანები, ვინც კანონით ნებადართულ მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს აკმაყოფილებენ იმ ქვეყანაში ან ქვეყნებში, სადაც ისინი მუშაობენ.

სამუშაო დრო, ხელფასი და სარგებელი

მესამე მხარეები ადგენენ სამუშაო საათებს, ხელფასს და ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად იმ ქვეყანაში ან ქვეყნებში, სადაც ისინი მუშაობენ.

ასოცირების თავისუფლება

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები პატივს სცემენ მოქმედ ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებს, საკუთარი თანამშრომლების უფლებას, რომ თავისუფლად შეუერთდნენ მშრომელთა ასოციაციებს, შრომით კავშირებს, მოიძიონ წარმომადგენლობები, ერთობლივად იმუშაონ მუშათა საბჭოებთან და ჩაერთონ კოლექტიურ გარიგებებში.

ხარისხი

კონტროლის შეცვლა

ჩვენ მესამე მხარეებისაგან მოველით, რომ არ შეიტანენ ცვლილებებს სპეციფიკაციებში, ნაწილების დიზაინში, მასალებში, საწარმოო პროცესში, წარმოების ლოკაციასა თუ რეგისტრაციის სტატუსში ნებისმიერ იმ პროდუქციასთან მიმართებით, რომელსაც შეიძენს მენარინი, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით მისგან არ არსებობს წინასწარი წერილობითი თანხმობა.

ხარისხი /მიწოდება

მესამე მხარეები უზრუნველყოფენ დროულ მიწოდებას ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები მონიტორინგს განახორციელებენ პროდუქციის ხარისხზე და ყოველთვის შეეცდებიან გაუმჯობესებას, რაც შემდგომში ნიშნავს ნაკლებ შიდა დეფექტებს, მომხმარებელთა ნაკლებ საჩივრებს და ხარვეზებს ტრანსპორტირებისას.

მესამე მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ დროული რეაგირება მოახდინონ ყველა უკმაყოფილებაზე, რომელსაც მენარინი გამოთქვამს.

ხარისხის სისტემა / ხარისხის მოთხოვნები

მესამე მხარეებს უნდა ჰქონდეთ ხარისხის სისტემა და პროდუქტის რეგისტრაციის საშუალებები, რომლებიც შეესაბამება ყველა მოქმედ სახელმწიფო რეგულაციას იმ ქვეყნებში, სადაც მათი პროდუქცია იწარმოება ან ვრცელდება და თუ შესაძლებელია, ასევე, უნდა შეესაბამებოდეს დანიშნულების ქვეყნებში მოქმედ რეგულაციებსაც.

შეფუთვა / მარკირება

პროდუქტი უნდა იყოს სათანადოდ იდენტიფიცირებული, სათანადოდ მარკირებული, რათა არ მოხდეს არასწორი იდენტიფიკაცია და შესაძლებელი იყოს სრული მიკვლევადობა.

ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

მუშაკების დაცვა

მენარინი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს, დაიცავს თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, აამაღლებს მათ ცოდნას მათ რისკებთან დაკავშირებით და წაახალისებს პასუხისმგებლიან ქცევას. აღნიშნული შესრულდება მუდმივი ინფორმაციის გაცვლის, ტრენინგებისა და განათლების საშუალებით ყველა თანამშრომლისათვის.

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები გაიზიარებენ ამ ვალდებულებას და უზრუნველყოფენ პირადი ღირსების სრულ პატივისცემას და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხში ყველა მოქმედი რეგულაციების დაცვას.

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები გამოავლენენ, შეაფასებენ და გაამჟღავნებენ პოტენციურ სახიფათო სიტუაციებს სამუშაო ადგილზე, რათა აღმოიფხვრას მათი მიზეზები და შესაძლებელი იყოს მათი გამოსწორება.

პროცესის უსაფრთხოება

მენარინი უზრუნველყოფს რესურსებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება საგანგებო სიტუაციებში, მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს მათ ეფექტიანობაზე, პერიოდულად საგანგებო სწავლებების ჩათვლით. ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები დაადგენენ, შეაფასებენ და განკარგავენ პოტენციურ საგანგებო ვითარებებს, რათა ხელი შეუშალონ ან შეარბილონ მათი აქტივობების შესაძლო ზემოქმედება.

გარემოს დაცვა და ნებართვები

მენარინი აღიარებს, რომ გარემოს დაცვა და საქმიანობის მდგრადი მეთოდებით წარმოება არის უაღრესად მნიშვნელოვანი, აუცილებელია ყველა მოქმედი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციის დაცვა.

მესამე მხარეებს აგრეთვე მოეთხოვებათ იგივე ღონისძიებების შესრულება, ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და ყველა მოქმედი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციის დაცვა. ნებისმიერი გარემოსდაცვითი ავტორიზაცია, ნებართვა თუ ლიცენზია, რაც საქმიანობის განსახორციელებლად არის საჭირო, უნდა იქნას მოპოვებული და დაცული.

ქიმიური ნივთიერებები, ნარჩენები და ემისიები

მენარინი საკუთარი საქმიანობისას ითვალისწინებს გარემოსდაცვით ასპექტებს, რათა შეამციროს მისი საქმიანობის ზემოქმედება.

მესამე მხარეებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ნარჩენების წარმოება, წაახალისონ ნარჩენების გადამუშავება, სათანადოდ მართონ წყლის რესურსები, იზრუნონ ატმოსფერულ ემისიაზე და ნებისმიერ ასპექტზე, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს გარემოზე ან ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

მესამე მხარეებმა უნდა შეამცირონ სახიფათო ნივთიერებების გამოყენება საკუთარ საქმიანობაში.

კოდექსის დარღვევის შესახებ ანგარიშგება (არამართლზომიერი ქმედების მხილება)

ანგარიშგება

მენარინი მოუწოდებს მესამე მხარეებს, რომ მოახდინონ ანგარიშგება, თუნდაც ანონიმურად და დასჯის შიშის გარეშე, წინამდებარე კოდექსის, კანონის, რეგულაციებისა და პრინციპების ნებისმიერი, თუნდაც პოტენციური დარღვევის შესახებ.

ინფორმაციის მისაწოდებლად წარმოდგენილია სპეციალური მხილების არხები, რათა ინფორმირება მოხდეს ეფექტიანად:

ვებ-გვერდი: https://menarinigroup.ethicspoint.com

გლობალური კომპლენსის ფოსტა: lobalcompliance@menarini.com

მონაცემებთან დაკავშირებული დარღვევები და სხვა პრობლემები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით: dpo@menarini.com

ნებისმიერი შემოსული ინფორმაცია იქნება განხილული სამართლიანად, სათანადოდ და კონფიდენციალობის მკაცრად დაცვით. შესაძლებლობის შემთხვევაში, დისციპლინარული ქმედება და მაკორეტირებელი ზომები იქნება მიღებული ნებისმიერი პოტენციური პოლიტიკური ხარვეზის და სამომავლო დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ამ კოდექსის ზოგიერთი დარღვევის გამო, კომპანიას შეიძლება მოუწიოს საკითხის გადამისამართება დამატებითი გამოძიებისათვის ან სამართალწარმოებისათვის.

ჩვენ მოველით, რომ მესამე მხარეები საკუთარ პერსონალს ჩააყენებენ საქმის კურსში, რომ მათ წინააღმდეგ არ იქნება მიღებული სადამსჯელო ზომები, თუ ისინი კეთილსინდისიერად მოახდენენ არსეული პრობლემების მხილებას.

დისციპლინარული სანქციები

მენარინი მოელის, რომ მესამე მხარეები იმოქმედებენ ეთიკის პრინციპების სრული დაცვით და შესაბამისად, მათ მოეთხოვებათ ამ კოდექსის დაცვა. მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების ნებისმიერი დარღვევა ან ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა, გახდება სათანადო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების საგანი, იმის მიხედვით, თუ რამდენად სერიოზულია დარღვევა და თუ რომელი კონკრეტული მუხლი მოქმედებს მასზე.

Ethical vision,
Integrity in action

MENARINI
group